საქართველოს მთავრობის

დადგენილება №612

2019 წლის 10 დეკემბერი

ქ. თბილისი

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსის დაფუძნებისა და დროებითი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის №292 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსის დაფუძნებისა და დროებითი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის **№292** დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/06/2017, 040030000.10.003.020001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსის წესდებით დადგენილი წესით რექტორის არჩევამდე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნოს მაგდა ალანია (პ/ნ: 01024016526).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**